ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3925299

ნომერი: AR1588732

თარიღი : 26.03.2018

გაცემის თარიღი : 23.04.2018

გაცნობის თარიღი : 23.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი , N 35-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი , N 35 ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 35 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი თოფურია პ/ნ 01030009451
- თბილისი, პეკინის გამზ. #2, ბ.65

ორგანიზაცია:
- შპს ახალი სკოლა კოდი: 202903750

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქთბილისისმერიისსსიპ– ქალაქთბილისისარქიტექტურისსამსახურის 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26 მარტს AR1588732 განცხადებით მომართა მოქალაქე ირაკლი თოფურიამ და მოითხოვა 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების

შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით , ბაგები , წყნეთის გზატკეცილი , N 35-ის მიმდებარედ. №01.14.07.001.025 საკადასტრო ერთეულზე(ფართი: 600 კვ.მ) სკოლისთვის განკუთვნილი დამხმარე ნაგებობის (დახურული სპორტული კომპლექსი) აშენების მიზნით №1700527 გადაწყვეტილებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
2017 წლის 6 თებერვლის №3069825 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებაში, გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი და შეიცვალა საკადასტრო კოდი: №01.14.07.001.032, ფართობი 8326 კვ.მ.
დღეის მდგომარეობით კვლავ შეიცვალა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დასაკადასტრო კოდი.(საკადასტრო კოდი: 01.14.07.001.057; განცხადების ნომერი: 892018037702; მომზადების თარიღი: 17/01/2018; ფართობი: 8726 კვ.მ.)

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს განახლებული საკადატრო მონაცემები:საკადასტრო კოდი: 01.14.07.001.057; განცხადების ნომერი: 892018037702; მომზადების თარიღი: 17/01/2018 ; ფართობი: 8726 კვ.მ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 4 თებერვლის №1700527 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და 2017 წლის 6 თებერვლის №3069825 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.